სძინავს ბნელ კოშკში მზე-ქალის ასულს...
და მე ღრუბლებში ვსტირი, თან ვმღერა:
წვიმს... და ეცლება გოლიათ წარსულს
ხავსი და მტვერი.

ს. მკვრიანი

ნამუსზედ ხელის აღება. მკვდრებს, დახოცილებს და ნაწამებთ
სამარეში თავი დაანებეთ და სიყვდილის კარზედ მისულთ აცა-
ლეთ ტანჯული სიცოცხლის დასასრული მინც. სიტყუებს
მოკლე ფეხები აქვს.

გარეშე ძალების დახმარებით, შემთხვევითი მოვლენებით უნ-
და სარგებლობა ქართულ რეაქციასათ. სოც. დემოკ. მთავრო-
ბის დიქტატორული მისწრაფების სწორედ ის მოვლენა ამტკი-
ცებს, რომ არავის არ აძლევს საშუალებას თანაშრომლობისა
რომელიმე გზით, და არ არსებობს არც ერთი მაგალითი ვისმეს
გამოეჩინოს ინიციატივა ვინმესთან დაწვევირებისათვის, რომე-
ლიმე სახელმწიფოსთან რაიმე დამოკიდებულების დაჭერისათვის
და განა წამდელი სანეთ მოქმედება ის არ იქნებოდა, რომ
ყველას თავთავიანთ მისაწვდომ ადგილას რამე გავკეთებინ?
განა საქართველო არ არის ყველგან, ყოველთვის ეძებდნე დახმარებას,
მოკავშირეს ხელის შემწყობს? თუ მხოლოდ და მხოლოდ მეორე
ინტერნაციონალია მსხენელი ან ეგ ინტერნაციონალი? სურგე-
თის და თელავის მცხოვრებლებისაგან ან მათ წარმომადგენელ-
თაგან შესდგება თუ უცხოელებისაგან? რად არ არის. ეგ ინტერ-
ნაციონალი უცხო დახმარება? მაგრამ ვაი თუ არც იქ აქვთ
ჩვენს სოციალისტებს საქმე მაგრად. ეგ ქართველი მენშევიკები
დაძუნძულებენ მეორე ინტერნაციონალის კონგრესზედ და სა-
მოწყალოდ კარების ქუჭრუტანებში უთვალთვალბენ იქნებ შე-
გვიშანო, რათა გადებული ხარჯები გაამართლონ. თორემ მათ
მეოხებით ისე, გა უჭებული აქვს სახელი ქართულ საქმეს რომ
ხმასაც არავინ ვაგცემთ, კიდევაც რომ ბევრი მოინდომოთ.

ცილის წამებას თავი დაანებეთ — დღეს არ გამოადგება ეგ
ქართულ საქმეს. არც ტრაზობით გავითდება რამე. ჩვენ შე-
ვაჩვენებთ ბოლშევიკების ეშვლონი თორემ ტყილის აიკლებდ-
ნენო. არც ისე ძნელი იყო ომით დალაღული სახლისაკენ პირ-
ნაბრუნევი რუსის ჯარისკაცების წითელი დროშით თვალის ახ-
ვევა და სოციალისტური აბდაუბდით ყურის გამოქვდვა. რაც
„ბრძოლის ხმის რაინდებს“ უფრო ეხებრებათ ვიდრე თოღით
ბრძოლა. თუ გნებავთ; საქმე ის იყო, რომ მენშევიკების მიერ
კონტრ-რევოლუციონერებთან გამოცხადებული, სხვა წრები-



სრულის ნებისყოფით და საკუთარი ინიციატივით, ჯერ საკუთარ მხარეზე და შემდეგ მხარეზე მხარეზე, შესაძლებლობა რომ მიეცათ, მტერს ბრძოლის ველზე გამარჯვებულად შეგვივლინებოდა, და, ბოლოს წამება მიიღო ქართველთა ამაყ სახელობათვის. ამ წერილების შემთხვევებმა და სახელებისგანგებმა რედაქციამ კარგად უწყობდა რამდენიმე სხვა გრთა იტალიაში არ ცნობილი, ერთხანის წამებულ და თავდადებული ქართ. თავად-ახალურება, უკვე ფინიკურად არის ამოქვეყნებული და მას, სურვილიც რომ შექმნებოდა, დღეს უკვე აღარ არსებობს, არ მალევე რედაქციისა მივხდებოდა. ხოლო, ამ წერილების ავტორთა ხურვილი არის სამოქალაქო ომი და ამიტომ არ ინდობენ არც კომუნისტთა ხელგამებ, არც ციფხალ პარტიტორთა სახელს.

და ვინ ხნადნ ამას? ის, ვისაც შეხტკივა გული საქართველზე ბედისათვის? არა, ამის ჩადენა შეუძლიან მხოლოდ მას, ვინც პირად ხარგებლობას გამოვლის სამოქალაქო ომიდან.

ხნადის ამას ის, ვისაც აქვს გრძობა კარგისა და ცუდის განსხვავებისა? არა, ეს ის ჯგუფია, რომელმაც არა ერთხელ შეთხზა ცილისწამება უკეთეს პარტიტორთა წინააღმდეგ და ჩემი წერილების საშუალებით დაამტკიცა ქართველ გრთის წინააღმდეგ, რათა თვით ამ ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული განხილვებმა გააღრმავებ და მთავრად ნიადაგი მისთვის ხანტრეგლ სამოქალაქო ომისათვის.

ეს ის ჯგუფია, რომელმაც კალად გედ ქართველ გრთის ხელმძღვანელებმა. მას უფლება არ შექმნება ამა თუ იმ პარტიის ინტერესების დამცველად გამოხდელიყო. მისი გრთად გრთი მოვალეობა იყო ქართველ გრთის გაერთიანება გრთად-გრთ მისნის მისაღწევად: ქართველთა მიწა წყლის მტრისაგან განთავისუფლება და მისი სუვერენიტეტის აღდგენა. ყველა სხვა ჯგუფზე მტერი დარბაისილება, მტერი მიუღებლობა მას მოვთხოვნილებდა. ეს ჯგუფი ვი ხედილობს მისიანობს ანუ უფლება არა მარტო, მისი აზრით, მღწინააღმდეგმ ჯგუფთა რეგებში, არამედ ქართველ ხალხის თვალში სახელს უტრებს იმ პარტიასაც ვი, რომლის ვიწრო ინტერესების დამცველად იგი გამოდის.

ვანსადავთ ჩვენს უდრძეს აღმდგომებს და დარწმუნებული ვართ რომ ყოველი პარტიტორი ქართველი შემოქმედებს თავის წმას ამ ჩვენს პრეტესტს ანარქის ან საჯარო ვრების საშუალებით.

ქ. ბერლინი. 25-11-1929

ხელს აწერენ: გიორგი კარაქანიძე, ალ. შოკშიძე, ნ. ნაკაშიძე, მ. ვარკეთილი, ტ. მარგველაშვილი, მკურანალი.

კაპალური წარმომადგენლობა

ადათის *) ე.ი. უწერ, ზეპირ კანონის უპირატესობა ნაწერ კანონზე უმთავრესად შემდეგია: პირველი, საზოგადოების ვითარებასთან ერთად განიცდის გარდაქმნის პროცესს. მეორე ვი, ვინაიდან ნაწერია, ერთ წერტილზე იყინება და ქამთ განმავლობაში ცხოვრებას ჩამორჩება ხოლმე. ხოლო, საზოგადოებრივი ცხოვრება მუდმივ გარდაქმნის პროცესშია. ასეთია მისი ბუნება.

კონსტიტუციები ე.ი. სახელმწიფო წყობილებები ნაწერ კანონთა კრებულნი არიან. თვით ინგლისის კონსტიტუციაც ნაწერ საბუთებზეა დამყარებული.

დღევანდელი დემოკრატიული წყობილებები ამ 100-150 წ. წინათ არიან დაწერილნი. თუ მაშინდელი საზოგადოება ასე თუ ისე ეგუებოდა ამ კანონებს, დღევანდელი, დიდათ გარდაქმნილი და გართულებული ცხოვრება მათ მიერ დაწესებულ პოლიტიკურ და სოციალურ ჩარჩოებში ვეღარ ეტევა. ახალი ცხოვრება მოითხოვს ახალ კანონებს, ახალ პოლიტ. ფორმებს. ხოლო, ერთხელ დაწერილი და დამკვიდრებული კანონმდებლობა ადვილად არ უთმობს ალაგს ახალ კანონებს. ესეც ბუნებრივია. სწორეთ ამაში მდგომარეობს დემოკრატიზმის დღევანდელი კრიზისი: მომავლადის ბრძოლა სიცოცხლისათვის.

თანამედროვე დემოკრატიზმი უმთავრესად ორ დარგში დამარცხდა: 1) შრომის საკითხი. ამის შესახებ ჩვენ დავებუდეთ წიგნაკი: „თეორი გიორგი და მუშათა საკითხი“. ამიტომ აქ ამ საკითხს აღარ ვეხებებით. 2) არჩევნების სისტემა. დემოკრატიული იდეოლოგია ლამობდა საყოველთაო არჩევნების საშუალებით ხალხის მართველობის და სუვერენიტეტის განხორციელებას. ეს იყო და დარჩა თეორიით. ხოლო, თეორიების უდიდესმა კრიტერიუმმა, პრაქტიკამ, დავანახა მთელი სიყალბე ამ დებულებისა. სინამდვილეში, დემოკრ. არჩევნების სისტემამ ხალხის მაგიერ პარტიები გააბატონა.

რაში მდგომარეობს ხალხის სურვილის, სუვერენიტეტის გან-

ხორციელება? სახელმწიფოს მართვა გამგეობა და კანონმდებლობა უნდა ხალხის სურვილის დაგვარად სწარმოებდეს. მაგრამ რა საშუალებით შეიძლება გამოირკვეს ხალხის, საზოგადოების სურვილი, აზრი, ინტერესები? ეს გამოირკვევა საპტირობებს პოლიტიკურ-სოციალურ ფორმათა მთელ სისტემას. ამ საშუალებას კი დემოკრ. წყობილება სავსებით მოკლებულია. უპირველესი პირობა საზოგადოებრივ აზრის გამოირკვევისა ამ აზრის დამოუკიდებლად გამოთქმა. ხოლო, დემოკრ. წყობილებაში საზოგადოებრივი აზრი თავისუფალი არ არის. არჩევნებზე, საზოგადოებრივ აზრის მიმდინარეობაზე გარეშე ფაქტორები მოქმედებენ და აძლევენ თავისათვის სასურველ სახეს. ეს ფაქტორები არიან ფული, პარტიული ორგანიზაციები, დემავოგია, პრესა.

დემოკრატიულ ქვეყნებში ხმების შესყიდვა უდიდეს როლს თამაშობს. ეს ცნობილი ფაქტია. თვით პატარა, კულტურისაგან შვეიცარიაც კი ამ სენითა შეპყრობილი. რაც შეეხება შვეიცარიულ შტატებს იქ ხომ ხმოსანთა მოსყიდვის მეთოდი გამეფებულია. ეს ორი ქვეყანა ხომ დემოკრატიის ნამდვილი ნიმუშია. არჩევნების ამა თუ იმ გზით მიმართვაში პარტიული ორგანიზაციებიც დიდ როლს თამაშობენ. რა მშვენიერი პროგრამითაც არ უნდა წარსდგეს პარტია არჩევნების წინაშე, თუ კი მას მძლავრი საარჩევნო ორგანიზაცია არ გააჩნია, არა აქვს მძლავრი პრესა და საარჩევნო პროპაგანდისათვის, შესყიდვისათვის *)

საკმარისი თანხები ყოველთვის დამარცხდება იმ პარტიის მიერ, რომელიც ზემო აღნიშნულ საშუალებით მძლავრად იქნება შეიარაღებული თუნდაც, ამ უკანასკნელს, ხალხისათვის მავნე პროგრამაც შექმნდეს. ამის მაგალითი მრავალია. განა საქართველოში არჩევნებში ივანე ჯავახიშვილი და კოტე აფხაზი არ დამარცხდნენ და ვ. თევზაიამ და მის მსგავსებმა არ გამოარჯვეს და ანაირად ცოდნა, გონება და მამულიშვილობა გაიძვერაობამ, შესყიდვამ, დემავოგიამ და პარტიულმა ორგანიზაციამ არა სძლია? არჩევნებში გადამწყვეტ როლს აგრეთვე პრესაც თამაშობს. პრესის მბრძანებელი კი, უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო კაპიტალია, რომელიც თავის ბუნებით და მდგომარეობით მუდამ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ რა დიდ როლს თამაშობს დემოკრატიულ ქვეყნებში დემავოგია, მოყოლებული პლატონიდან, არისტოტელიდან და გათავებული კლემანსოთი, ბორჟოთი, მორასით, ბენუათი ყველა დიდი მწერლები და სოციოლოგი ამტკიცებენ. მაგრამ ჩვენ პოლიტ. პარტიათა ბელადებში უვიციანი სკარბობენ და ყოველივე ეს არ უწყობს, რათგან ყოველივე ამის ცოდნას საპტირობის ისტორიის, სოციოლოგიის და სამართლის შესწავლა და მათ, ეს, ისე დაბერდნენ, ვერ მოახერხეს. ეს მოვლენა კი, მართლაც სავალალოა. ანაირად საზოგადოებრივი აზრი შებოროტდება. მაგრამ, ეს თქვათ, ამომრჩეველი მოქალაქე თავისუფალია ხმის მიცემაში და არავითარ გარეშე გავლენას არ განიცდის. ამ შემთხვევაშიც დემოკრატ. ამომრჩევნების ქალაქში იკარგება ხმოსან მოქალაქეთა აზრიც და სურვილიც. განსაზღვრული რიცხვი ამომრჩეველთა, ავილოთ, 20 000, ირჩევს ერთ დეპუტატს. ვინაა ეს 20 000 მოქალაქე? რა აზრი და რა მიზანი აქვთ მათ? არაინ უწყის, შემთხვევით, ერთი-ერთმანეთის უნახავთ და უცნობლივ ერთსა და იგივე დეპუტატს მისცეს ხმები. ეს დეპუტატიც არა მათგან, არამედ რომელიმე პოლიტიკურ პარტიიდან იყო წამოყენებული. ან კიდევ უარესი: ამ მოქალაქეებმა მისცეს ხმა პარტიის მიერ წამოყენებულ დეპუტატთა მთელ სიას. ესე ხდება პროპორციანალურ სისტემით. ამითი თავდება ამომრჩეველთა მისია. დეპუტატი მიდის პარლამენტში. ვინ გავაზვნა ის, რა მიზნით? მან ეს არ იცის, პირადათ ის თავის ამომრჩევნებს არც კი იცნობს. არც შეიძლება 20 000 ადამიანს იცნობდეს. ის აირჩია რალაც ანონიმმა, აბსტრაქციამ. მაშასადამე დეპუტატი ამომრჩეველთა წინაშე პასუხს არ აგებს. ის პასუხის მკებელია მხოლოდ საკუთარ პარტიის წინაშე და დირექტივებს მხოლოდ მისგან იღებს.

ამრიგად, დემოკრატიულ წყობილებაში ხალხის მმართველობა წმინდათ ფაქტიურია და ფაქტიურად კი პარტიები ბატონობენ.

ვინაიდან ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში რამდენიმე პარტია არბეობს, მათ შორის ბატონობის გარშემო გაჩაღდა ბრძოლა. საუბედუროთ, მათ, თავის ბრძოლაში ხალხიც გზავიეს და მტრულ ბანაკებად დაჰყვეს. დღეს ყოველი ამ ბანაკთაგანი წარმომადგენს შეიარაღებულ, დარაზმულ ძალებს ურთიერთის ამოსაყვებად გამზადებულს და მათი ბელადები ურცხვად გაიძახიან „ჩვენ სამოქალაქო ომის მომზრე ვართო“. ფრჩხილებში ჩასმული წინადადება ეკუთვნის ბატონ ეორდანიას. იხილეთ მისი, უკანასკნელი რუსულად დაწერილი წიგნაკი. ამ გვარი ჯარი საქართველოში მენშევიკებს ჰყავდათ: გვარდია. რაც მიანიჭა მან საქართველოს — ყველა უწყის.

*) საქართველოში ჩვენს პოლიტ. პარტიების ავენტები ტომრებით სავსე ფულით დაბობდნენ სოფლიდან სოფლად ხმოსანთა შესასყიდათ. ამისი საბუთები გვაქვს თუ ვინმე მოისურვებს.

დემოკრატიულ პრინციპის მიხედვით სახელმწიფოს უნდა უმრავლესობა მართავდეს. ესაა დღეს მთლიან დემოკრატიზმისა. ამაშიც თეორია პრაქტიკამ გააბათილა. გამოირკვა: არჩევნებში ხმოსანთა მან — 45 ხელ მეტი არ მონაწილეობს. წინააღმდეგი მოვლენა იშვიათია. ეს მოხდა, სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ შვეიცარიაში, სადაც უდიდესად მნიშვნელოვან რეფერენდუმში, ხმოსანთა 70 მილიონ მონაწილეობა. მაგრამ რეფერენდუმში ხომ განსაკუთრებული მოვლენაა. ეს თქვათ არჩევნებში ხმოსანთა 70 მონაწილეობს. ვიღებ როგორც მაგალითს.

თუ არჩევნებში მეტოქეობს მხოლოდ ხუთი პარტია და ეს რიცხვი დემოკრატიულ ქვეყნისათვის მინიმუმია, ხმები ხომ უნდა ხუთათ გაიყოს. ეს თქვათ გამარჯვებულმა პარტიამ საერთო ხმების 40 მილიონ, რაც პრაქტიკაში თითქმის არა ხდება ხოლმე, მაინც სახელმწიფოს მართვა გამგეობა საზოგადოების უმცირესობაზე იქნება დამყარებული. მაგრამ, როგორც ზემოთა ვსთქვი ამ უმცირესობის უფლებაც მხოლოდ ფაქტია და ფაქტიურად ქვეყანას პარტია განაგებს და რასაკვირველია, კანონმდებლობას და ადმინისტრაციულ ორგანიზაციებსაც თავის ბატონობის განტოციტებას უგუებს. ინგლისის უკანასკნელი არჩევნები დიდი მაჩვენებელია დემოკრატიულ სისტემის ნაკლისა. მართლაც: კონსერვატორებმა სოციალისტებზე 250 000 ხმით მეტი მიიღეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. და ინგლისის სოციალისტები მართავენ სადაა აქ უმრავლესობის პრინციპი?

დღევანდელ დემოკრატიულ წყობილების მთელი სისტემა ეროვნულ ძალთა დაყოფას ემსახურება. ესაა ამ წყობილების უდიდესი ნაკლი. მის წიაღში სწარმოებს მუდმივი ბრძოლა კერძო და ჯგუფურ ინტერესთა შორის. საერთო ეროვნული ინტერესები არც არიან გამოირკვეულნი და არც სახელმწიფოს ზრუნვის საგნათ დასახული. ამ ჯგუფურ ბრძოლის ორგანიზატორნი და სულის ჩამდგმელნი პოლიტიკური პარტიებია. ეს უკანასკნელნი იბადებიან და ვითარდებიან ამ ბრძოლის ნილადაზე. ამის შედეგი? ეროვნულ ორგანიზმის დასუსტება და მით ერის შემადგენელ ელემენტთა საერთო დაზარალება. მაგრამ ზოგჯერ ეს ბრძოლა ახწევს თავის უკიდურეს წერტილს, რაც ერს, სახელმწიფოს და მისი ცივილიზაციას ანგრევს, ამის მაგალითები ისტორიაში საკმარისია, დღევანდელი დემოკრატისში ევროპას სწორეთ ამ ნგრევისაკენ მიიქანებს. ხოლო, მას წინ ელოდება ახალი პრინციპი საზოგადოების ორგანიზაციისა, ახალი პოლიტიკურ სოციალური ფორმები. ამ ახალმა პრინციპებმა რამდენიმე სახელმწიფოში უკვე გამოარჯვეს და დანარჩენებში სწარმოებს ბრძოლა, დღეს უკვე კონსერვატორულ ძალათ ქცეულ დემოკრატიზმის წინააღმდეგ. ეს ახალი პრინციპი ეროვნული სახელმწიფოა.

ეროვნულ სახელმწიფოს შინაარს ჩვენ ცალკე წიგნაკში ან წერილებში ვავარჩევთ. აქ კი განვიხილავთ მხოლოდ მის არჩევნების სისტემას და პარლამენტის ხასიათს. ეს სისტემა ახორციელებს ყველა ამ მიზნებს რომელთა ლამობდა დემოკრ. თეორია, მაგრამ რომელთაც ვერ მიადწია. ეროვნული სახელმწიფო განსაკუთრებული ორგანიზაციის საშუალებით არკვეს საზოგადოებრივ აზრს, ნათელ ჰყოფს და განსაზღვრავს ხალხის ინტერესებს, ფაქტიურად ახორციელებს საზოგადოების უმრავლესობის სურვილს და საყოველთაო ხმის მიცემის პრინციპს; საზოგადოების აზრი, სურვილი და ინტერესები ფაქტიურად მიიქვს პარლამენტში, სადაც ხალხის ნამდვილი და პირდაპირი წარმომადგენლები, ამომრჩეველთა დირექტივების მიხედვით თათბირობენ და კანონმდებლობენ. ეს წარმომადგენლები ამომრჩეველთა წინაშე უშუალო პასუხისმკებელნი არიან. ამომრჩეველიც ვილაც ანონიმში კი არა, არამედ განსაზღვრული ორგანიზაციაა, იურიდიული პიროვნება.

ამავე ამომრჩევნების და წარმომადგენლობის სისტემით ყოველ გვარი ნიადაგი ეკარგება: პარტიების თარეშს და ბატონობას; კლასთა ბრძოლას; ხმების შესყიდვას, ე.ი. ფულს; პრესას და დემავოგიას. ამ სისტემას მეცნიერულ ენაზე დწოდება: რეალური წარმომადგენლობა.

ყოველი საზოგადოება იყოფა განსაზღვრულ რეალურ ინტერესებზე: მაკერიალური ინტერესები; გონებრივ-სულიერი ინტერესები.

საქართველოს ეკონომიკის დღეს ძარღვი მეურნეობაა; შემდეგ წარმოება; აგრეთვე ხელოვნება, სარწმუნოება და სხვა. მეურნეობა იყოფა რამდენიმე დარგათ: მეპროდუქციონა; მეცხვარეობა; მეხილეობა; მევენახეობა და სხვა. რეალური სისტემით მეურნეობის ყოველი დარგი უწყობა ცალკე კავშირებათ (კოოპერატივები და სხვა). ყოველ კავშირს საკუთარი ინტერესები გააჩნია: თივის დარგში მეცნიერულ-რაციონალური მეთოდის შეტანა, წვერთა შორის დახმარება, დაჭდევა, ბაზრის მოპოება და სხვა. ესევე ხდება წარმოების წიაღში: ყოველი დარგი წარმოების ირახმება კორკორაციებათ. (ამის შესახებ იხ. ლ. კერესელიძის წიგნაკი: „თ. გ. და მუშათა საკითხი.“) ასეთსავე კავშირებს ადგენენ მწერლები, ხელოვანი, თავისუფალ კროფესისის პირნი და

*) რომელი იურისტები ადათს უწოდებენ Jus non scriptum ს და ნაწერ კანონს Jus scriptum ს



სხვა. ყოველ კავშირს თავისი სპეციფიური ინტერესები აქვს და მკაფიოდ, გამოცდილების და შესწავლის შედეგად დამუშავებული აზრი. მაშასადამე ყოველივე მათგანმა კარგად იცის: რა უნდა მოსთხოვოს სახელმწიფოს, რა კანონმდებლობა და რა სისტემის ადმინისტრაცია უფრო უპასუხებს მის ინტერესებს.

ჯამი ამ კავშირთა ინტერესებისა წარმოადგენს ერის საერთო ინტერესს; ჯამი მათ აზრისა საზოგადოებრივ აზრს; მათგან დასკვნილი, გამომდინარე კანონმდებლობა ხალხის უმრავლესობის სურვილს; სუვერენიტეტს. ამნაირად ჯგუფთა და კლასთა შორის ინტერესთა დამოკიდებულება, გადაჩვევა, გამორკვევა, შედარება გადვილებულია განსაკუთრებულ დაწესებულებათა წყალობით. საზოგადოების ამგვარი ორგანიზაცია საშუალებას აძლევს სახელმწიფოს ყოველგვარი უთანხმოება კლასთა, თუ ჯგუფთა შორის, მორიგებით გაათავოს. ვინაიდან მორიგების უპირველესი პირობა ჯერ უთანხმოების და საწინააღმდეგო ინტერესთა ნათელყოფას და განმარტებას საჭიროებს. ამიტომ, ვერც ერის შემადგენელ ელემენტებს და ვერც მათ ინტერესებს რაიმე პოლიტიკ. კომბინაციები, ავანტიურები, პარტიათა დემაგოგია ადვილად ვერ ვახვევს იმ გაუგებრობის, არე-დარევის და ანარქიის ქაოსში, რომელიც დემოკრატიულ წყობილებას ახასიათებს.

ყოველი კავშირი ირჩევს წარმომადგენელს (დეპუტატს) პარლამენტში. აძლევს მას დირექტივებს და თვალყურს ადევნებს მის მოქმედებას. ამნაირად, დეპუტატი არჩეულია გარკვეულ და კონკრეტულ პიროვნების, ორგანიზაციის მიერ, რომელს ნათლად დასახული ინტერესები და აზრი აქვს. ამითი დეპუტატი პასუხის მგებელია არა რაიმე პარტიის, არამედ თავის ამომრჩევის წინაშე.

ვის ამოირჩევს ამნაირ რეალურ ინტერესს გარშემო შეკრებილი კავშირი? რომელიმე პოლიტიკან დემაგოგს? მიტინგების ორატორს? არა და არა. ის ამოირჩევს საქმიან სპეციალისტებს, იმ დარგის მკოდნებს, რომლის წარმომადგენლობას მას ანდობენ. თვით დეპუტატიც პირადათა დირექტივების, ვინაიდან ის წევრია იმ კავშირის, რომელსაც წარმოადგენს პარლამენტში. ამნაირად, რეალური წარმომადგენლობა ჰქმნის საქმიანობას და უსაქმო, პროფესიონალურ პარტიულ ყბედებს ნიადაგი ეცლებათ.

არჩევნებში ყოველი მოქალაქე მონაწილეობს. რათგან, ეროვნულ სახელმწიფოში, მუქთა-ხორებს და სპეკულიანტებს ალაგი არ ექნებათ. ყოველი მოქალაქე იძულებული იქნება რაიმე სოციალური ფუნქცია შესრულოს. მაშასადამე, უნდა რომელიმე კავშირის წევრად იმყოფებოდეს, ან ყოველივე შემთხვევაში, რაიმე სოციალურ შემომქმედ კარგობას ეკუთვნოდეს, და მაშასადამე, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. დემოკრატიულ წყობილებაში არჩევნებს წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვთ. ამიტომ ბევრი ხმოსანი თავს იკავებს. ახალ სისტემაში კი არჩევნები რეალური ინტერესების გამოწვეული მოქალაქეობრივი აქტია. აქ ყველა პირდაპირ და რეალურადაა დაინტერესებული არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

პარლამენტში აღარა აქვს ალაგი განყენებულ და დემაგოგიურ პარტიულ პოლიტიკას, უსაქმო ლაყობას. მათ ალაგს იჭერს საქმიანი თათბირი და ერის საერთო ინტერესებთან შეგუებული კანონმდებლობა.

რასაკვირველია, ამ ხალხის პარლამენტში ალაგი ექნება სხვა და სხვა რეალურ ინტერესთა დაპირდაპირებას. მაგრამ ასეთი დაპირდაპირება ეროვნულ ორგანიზმის ნამდვილი გამაცოცხლებელი და გამაჯანსაღებელია, ვინაიდან მხოლოდ ამ საშუალებით გამოირკვევა ერის ნამდვილი საერთო ინტერესები, ე.ი. სინტეზი ეროვნულ შემომქმედ ყველა ძალთა ინტერესებისა და მისწრაფებებისა.

უხლა ვეკითხებით მიუდგომელ ქართველს: დემოკრატიული თუ რეალური სისტემა უფრო ემსახურება ხალხის ინტერესებს და ფაქტიურად ახორციელებს მის სურვილს, მის უფლებებს?

თეთრი გიორგი იზიარებს ამ ეროვნულ სახელმწიფოს სისტემას, რათგან ის უფრო შეეგუება საქართველოს პირობებს. მის ისტორიას და მის ინტერესებს. ჩვენ მომავალში განვიხილავთ თანდათანობით, თუ რა სისრულით ეგუება ეროვნულ სახელმწიფოს ბუნება ყოველი ერის ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს. განვიხილოთ თუ როგორ შეიძლება დამყარდეს ეროვნული სახელმწიფო ქართველი ხალხის ნიჭზე, ღირსებაზე, განსაკუთრებულ თვისებებზე, მის კულტურაზე, ისტორიაზე და გეოგრაფიაზე.

ჩვენ არ ვიღებთ დემოკრატიულ სისტემას მრავალ მოსახრებებით, რომელთა შორის უმთავრესი შემდეგია: დემოკრატიული წყობილება ადვილად კლასთა ბრძოლას; ჰქმნის პარტიის ბატონობას. ყოველივე ეს კი დამანგრეველია ჩვენი ქვეყნისათვის, რათგან საესებით ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ბუნებას და ჩვენ ცივილიზაციის, კულტურის შინაარსს.

ყველგან და განსაკუთრებით საქართველოში, დემოკრატიზმი ნაკლები ნიადაგი ყოველგვარ დემაგოგის. ჩვენში ის მუდამ სოციალისტურ დესპოტიზმის და დიქტატურის სახეს მიიღებს. განა საქმარისად არ ვიგემთ რამიშვილის და გვარდიის დიქტატურა? რომელზედ შორს დესპოტიზმი მხოლოდ რუსეთში წავიდა. ვისაც სურს ხელი შეუწყოს ამავე ტირანიის განმეორებას, მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში, გაიზიაროს

ეროვნულ დემოკრატიის იდეოლოგია და მათ გზაზედ დადგეს. ესენი თავისი ხელით უშადებენ საქართველოს „რამიშვილიზმის“ ხელახლად გაბატონებას. მტრიც: მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში დემოკრატიულ წყობილების დამყარება რამიშვილის და გვარდიის ბატონობას ზედ კიდევ „ჩეკას“, რევოლუციის ამ „უდიდეს მიხწევას“, დაურობს. ვისაც სურს ამ „სამების“ გაბატონება—უნდა მისია: პოლიტიკური სიბრძნე ნაწილობრივი არასდროს არ არის, ის ყოველთვის საესებითია, რათგან უფიცობის და უნიჭობის ნაყოფია.

ბატონებო! ჩაუკვირდით „ბრძოლის ხმის“ წერილებს!

სოლომონ შაპავაკიანი.

შენიშვნა: მეორე გვერდის მეორე სვეტზე წერილში „სამი ტაქტიკური საკითხი“ სადაც დაწერილია: მთავრობა საფრანგეთის მიერ ცნობილი იყო, უნდა იყოს, de Jure და ერთა ლიგის მიერ de facto.

ამავე გვერდზე პირველი სვეტის მეცამეტე სტრიქონზე, ქვევინდან, სწერია: „სამშობლო“ №4-ს, უნდა იყოს, №3-4.

მესამე გვერდზე წერილში „რეალური წარმომადგენლობა“, მესამე სვეტის მეოთხე სტრიქონზე წვიდან სადაც დაბეჭდილია: „არჩევნებში ხმოსანთა 35—45% უნდა მეტი არ მონაწილეობს“. უნდა იყოს: არჩევნებში ხმოსანთა 35%-45% ზედ მეტი არ მონაწილეობს. ისევე როგორც ქვემოთ ყოველი ციფრი პროცენტშია ნაჩვენები მე 7-9-13 სტრიქონზე.

«მხნა სამხისა სიმატილისა ხმს შიქმს ხელსა ნელსა».

დაგვიდგა ახალი წელი 1930... მეათე წელიწადი ქართველი ერის ნაწილის, მისი მთავრობით, პოლიტიკური პარტიების ლიდერებით და მოღვაწეებით საზღვარ გარეთ ლტოლვილებათ და დევნილებათ ცხოვრებისა. ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი რამ განვიცადეთ; ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ ვნახეთ და ამ ეპოქა სელაში გადავავლოთ თვლი განვილილს და ვნახოთ შევიძინეთ რამე, თუ დავკარგეთ, კიდევ თუ რამე გავაჩინდა და-საკარგავი? გაუმჯობესდით თუ გაუარესდით? ვისწავლეთ რამე? ზოგი რამ კი—ზოგი რამ არა! ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების წოგირთ მხარეს ემჩნევა ცვლილება, ზოგიერთი აზროვნება ეიცვალა, გადახალისების, გარდაქმნის გზას ადგია. დარჩა კიდევ ნაწილი ჩვენი საზოგადოების ისეთი, რომელიც 905 წ. სულსკვეთებით, აზროვნებით და აზრთა ყალბი ხელოვნური საშუალებებით ხელმძღვანელობს და მითი „ბრძოლის ხმა“ ციტა ხრინწინია, რადგან 30 წელიწადი ერთისა და იგივეს ყიყინი ჰქმნა რიტად ხმას ჩაუზღუნს ადამიანს. რუსეთის სოც. დემ. ნაფლეთმა ქართულ სოც. დემოკრატიამ გამოუშვა ახალი გაზეთი „ბრძოლის ხმა“. ასე გვეგონებათ ახალი სახელი, ახალი დაწყება იქნებ ახალის რისიმე მიქმელი იყოს, მაგრამ, ვაი რომ შიგ ისევ და ისევ გამოისმის ის ათასჯერ გაცვეთილი, უკვე ობ მოკიდებული აზრები, რომელთაც დღეს, ყოველად შეუძლებელია ექმნეს გასავალი რომელიმე წრეში, გარდა იმ ადამიანთა შორის, რომელთაც გონება ვაეყინათ 1905 წლის აზროვნება-სედ და წინ ერთი ნაბიჯიც არ წარუდგამთ. სულ ძველებური ილათები სჯა-ბაასისა, იგივე აქოთებული დემაგოგია და იგივე სიყალბე. „ქართული რეაქცია“ სათაური წერილისა სადაც ვკითხულობთ შემდეგ: „რუსეთის დემოკრატიის დამარცხება ბოლშევიზმით იწყება, სამოქალაქო ომი, ანტი-რევოლუციონური კლასების შეჯგუფება და თავის ინტერესებისათვის იარაღით ბრძოლა. საქართველოში კი პირიქით: დემოკრატიის გამარჯვებამ ბოლშევიკურ სტიქიაზედ აიძულა „გაბატონებული კლასები“ შერიგებოდა მომხდარ ფაქტს და ხმალი ქარქაში ჩაეგო და დემოკრატიული გზით თავისი ალაგი და თავისი საყვები მოეძებნა“. სად და როდის „გაბატონებულმა კლასმა“ ამოიღო ხმალი ბოლშევიზმის ხელშესაწყობათ და ქართული დემოკრატიის წინააღმდეგ, რომ ის ქარქაში ჩაეგო? არასდროს და არსად! ეგ სიყალბე და სიცრუეა! მთელი „გაბატონებული კლასი“ გვერდში ამოუდგა საქართველოს მტრის წინააღმდეგ ქართულ დემოკრატიის ხელმძღვანელთ. ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებდა—ჯერ კიდევ გვარდიის შედგენამდე— სოც. დემ. პარტიის პროპაგანდისტების მიერ დაშლილი და არა საიმედოთ გამოცხადებული პირველი ცხენოსანი რაზმი ორიოდ ასეულით და ბევრი სხვა მოხალისეთაგან შემდგარი რაზმები, სადაც უმრავლესობა ამ „გაბატონებულ კლასის“ დიდი შვილნი იყვნენ. ამ „გაბატონებული კლასის“ წევრთ, ორიოდ მდიდარ ქართველთ, არა ერთხელ თავისი ქონებრივი დახმარებით ხელი მოუმართავთ მმართველი წრეებისათვის და ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ბოლშევიზმის გამარჯვება რუსეთის გამარჯვება იყო საქართველოზედ და საქართველოს რუსეთისაგან ხსნისათვის საჭირო იყო ქართველი მმართველი წრეების გამარჯვება ბოლშევიზმზედ, გამარჯვება იმ წრისა და პარტიისა, რომელსაც წილად ხვდა ერის მესვეურობა და რომელმაც ბოლოს

და ბოლოს ძლივს გამოეყო რუსეთს ქართული დემოკრატია ბოლშევიზმმა დამარცხა, მაგრამ მთი „გაბატონებული კლასის“ კი არა, არამედ სოც. დემოკრატიის წევრების დიდი რიცხვი მიეცელა. მაშინ როდესაც „გაბატონებული კლასის“ წევრები შეაკედნენ და კიდევ აკედება მტერს უსწორო ბრძოლაში. «ქართულ ემიგრაციაში იწყება ბრძოლა» განარძობს „ბრძოლის ხმა“. ნუ თუ „ბრძოლის ხმას“ არ ესმის, რომ მიუხედავად ყოფილი მინისტრების განუწყვეტელ დაპირებისა „დღეს თუ ხვალ დაბრუნდებით საქართველოში“ — ეს ემიგრანტობა გავიგვრძელდა. ამ ემიგრანტობის, თითქმის ათი წლის განმავლობაში წარმოიშვა ახალი თაობა, ახალი აზრებით, ახალი იდეებით, ახალი მისწრაფებებით, ახალი სულით და ნურას უკაცრავად, თუ ეგ თაობა „ბრძოლის ხმის“ სულის ჩამდგმელთა ყურმოჭრილი მონა და ჩუმი მსმენელი არ იქნება. განა საქართველოში ვისმეს აზრათ მოსვლია მენშევიკებისათვის ხელი შეეშალა? პირიქით, ყველა ხელს უწყობდა მათ. მოწინააღმდეგე პარტიებიც კი მიგჩანხალდებოდნენ უკან და სრულს ლოიალობას უცხადებდნენ. ყველას ეგონა დღეს თუ ხვალ მოვიდოდნენ გონზე და სასართველოს მოხედდებენ. დაადგებიან სწორ სახელმწიფოებრივ ქართულ გზასაო, მაგრამ მენშევიკები ვერ გასცილდნენ პარტიულ ინტერესებს რომელსაც საქართველოს ინტერესები ანაცვალეს. ეხლა კი ვილაც ვლანდებთ, რაღაცას სთხზავენ. „საქმეს წახდენს რეგვინი ფათურას დაბრალვბსო“ ნათქვამია ძველ ანდახად.

ჩვენ იმდენად არ გავკანდიოდებით, რომ ვისიმე დაცვა-გამართლება ვიკისროთ. ისინი თვითონ მოუვლიან თავიანთ თავს თუ ეს საჭირო დარჩა. საკვირველია მხოლოდ ჩვენთვის როდის გზნდა „მენშევიკებთან“ რამოდენიმე წლის განმავლობაში თანამშრომელი ბ. ზ. ავალიშვილი შავი რეაქციის მოძღვარი? ვერც ბევრი სხვა მოღვაწეთა რეაქციონერობაში დაგვარწმუნებს „ბრძოლის ხმა“ თავის ყიყინით, რადგან ყველამ იცის რომ ბ. შალვა ამირეჯიბი ოთხი წელიწადი დარბოდა საქართველოში და სასიკვდილოთ გაზაზდილი იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. რუხო გაბაშვილი სამხედრო სკოლასთან ერთად იდგა ეროვნულ სადარაჯოზედ თოთით ხელში, ეს ყველამ იცის და ასეთ ხალხს საქართველოს დალატს, მისი ინტერესების წინააღმდეგ რეაქციის მომხრედ ვერაგინ მონათლავს. ან რა შუაშია ქართული რეაქცია და პარტიკული ფრანგი დიუგე? რასაკვირველია; თუ სოციალისტ რენოდელს შეუძლიან განაცხადოს სამსჯავროში, რომ ის როგორც მეგობარი კარგად იცნობს ქართველ მენშევიკებს, რომელთაც რუსეთი ძლიერ უყვართ და მათგან გამოყოფა არ სურთო, რატომ ქართველი ერის მეგობარს ბ. დიუგეს არა აქვს უფლება ამავე „მენშევიკების“ პოლიტიკა არ მოიწონოს. მაგრამ ეს ხომ ასეა, ვინც „მენშევიკების“ დამქაში არ არის ის რეაქციონერი, შავრაზმელი და ქვეყნის დამლუპველია; არ ეს ყველაფერი იგივეა რასაც 905 წ. ამბობდნენ „ბრძოლის ხმის“ უხადო რაინდები, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ მას აქეთ ეგ რაინდებიც კარგად გაიცნეს და მასთან ასეთი ლათაიებით მოსატყუილებელი და გასაბრყველებელი დღეს აღარაგინ არის. „ინგლისელებთან დაგვებულესო“, თითქოს ინგლისელებმა არ იცოდნენ რა ხდებოდა და რა ხდება საქართველოში. სამწუხაროდ იმათ მეტი იციან ვინემ საჭიროა. განა დამიძლებოდა „მენშევიკების“ „ბოლშევიკური“ მეთოდები? რევიზიცია, კონფისკაცია, ცარცვა-გლეჯა, ყარააზი და სხვა.

„არჩევნებით, დამფუძნებელი კრებით განვირჩიოდით მათგანაო“, მაგრამ ვინ იცის იქნებ არჩევნების მოხუენის ხრიკებში და ძალადობაში მსგავსებაც იყო. მენშევიკების კრიტიკა ვერაგინ უნდა გაბედოს, ეგ ბოლშევიკობაა, ეგ საქართველოს აგნებს. რა უნდა უქნას ამაზედ უარესი?

საერთო ფრონტი გაჭკივით. ამა ვინ არ იცის, რომ ეგ მენშევიკების მიერ ხელოვნურად შეთითხნილი ფრონტი არ არის ქართული ეროვნული საქმიანობის ფრონტი, არამედ მისი გეგმონის ფრონტი. ყველა ვინც ამ ფრონტის წინააღმდეგ მოითხოვს ნამდვილი ეროვნული ფრონტის შექმნას ის რეაქციონერი, ბოლშევიკი და მოღალატეა და რაც ყველაზედ უფრო სასაცილოა არისტოკრატიის დამცველი და მამხრავა. ერთი გვიბრძანეთ სად არის ეგ არისტოკრატია? დღეს როდესაც მთელი ქართველი ერი გალატაკებულია, გამარტული და დამათხოვრებულია განა შეიძლება ლაპარაკი არისტოკრატიაზედ, მათ წინააღმდეგობაზედ და შეთქმულებაზედ, მაგრამ სოც. დემოკრატებმა ისე ვით ბოლშევიკებმა უნდა მოაჩვენონ ქვეყანას, რომ მათ საქმიანობას ხელს უშლიან. თქვენი საქმიანობის შედეგები თკალწინ გვიდგას. დღეს საქართველოში ყველა მშვირია და აქ ემიგრაციაშიც ყველა გაჭირვებას განიცდის, მხოლოდ დღეს ქართული არისტოკრატია, ქართულ ხაზინიდან ჯამაგირის მიძღები, დაუსრულებელ და უვადო მინისტრის როლში მყოფი ქაროველი მენშევიკია. თავად-ახნაურობის ლანძღვა ისეთი აუცილებელი შეიქმნა ყველა წრეებისათვის დიდი ხნიდან დღემდე, რომ ერთი დიდი მსხვილი წიგნის ახლო ხანში გამოსულის ავტორიც არ სტოვებს უყურადღებოთ და სწერს: „ზოგიერთი მარშლები ფეხქვეშ ეგებოდნენ წითელი დროშის მატარებელ პარტიებსო“. დიასწითელი დროშის მატარებლებმა მოახდინეს რევოლუცია და რუსეთის დანგრევის საქართველოს თავისუფლება უნდა მოწყობილია. ეს კარგათ იცოდნენ იმ „ზოგიერთმა“ მარშლებმა და ხელს უწყობდნენ რუსეთის რევოლუციას და ავი ასეც მოხდა. რუსეთი დაინგრა, საქართველო წელში გაიძარბა, მაგრამ ზე-